საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2575 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის №2288 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის №2288 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2017 წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოს ტერიტორიაზე გაჩენილი ტყის ხანძრების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართული ვერტმფრენების მიერ მოხმარებული საწვავის ანაზღაურების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში2

წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გამოუყოს 568 673 (ხუთას სამოცდარვა ათას ექვსას სამოცდაცამეტი) ლარი.

2. დაევალოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აანაზღაუროს ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართული ვერტმფრენების მიერ მოხმარებული საწვავის ღირებულება, მომსახურე ორგანიზაციებიდან წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.“.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**